# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 120

18 მაისი 2017 წელი

## წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში-,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ **TRESGE22**, ა/ა **GE24NB033010020011650 22** – (შემდგომში - ,,შემსყიდველი"),

და მეორეს მხრივ: ი/მ ,,დავით ქისტაურს" შორის, რომლის რეკვიზიტებია: დუშეთი , ქ. დუშეთი სტალინის ქ. 58, პ/ნ 16001033011, მომსახურე ბანკი: –სს ,,საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი – BAGAGE22, GE15BG0000000899072200- (შემდგომში - ,,მიმწოდებელი")

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: - პროექტ ,, გახდი გადაწყვეტილების მიმღები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში" დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოწვეული სტუმრების გამასპინძლებისათვის ხელსაწმენდის, ქაღალდის ჭიქის და ერთჯრადი თეფშის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
CPV-39200000 - 9 ლარი; CPV-33700000-4.40.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს: 13.40 ( ცამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) მიწოდებული საქონელის ერთეულის ფასი და რაოდენობა შეადგენს: ინვოისის შესაბამისად;

ბ) საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი რუსთაველის N 27.

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.
5.5მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

## 8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2017 წლის 03 ივლისი
18.2 მომსახურების მიწოდების ვადაა: –2017 წლის 31 მაისი
(რიცხვი, თვე, წელი)
18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

**შემსყიდველი**

დუშეთის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: /ვ. ჩოხელი/

**მიმწოდებელი**

ი/მ „დავით ქისტაური“ : / დ. ქისტაური /

იურისტი:

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0306111547 |

| | |
|---|---|
| 2 | 19/05/2017 |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| | | |
|---|---|---|
| 4 | დავით ქისტაური | 16001033011 |

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი, დენტიფიკაციო/პირადი ნომერი

| | |
|---|---|
| 3 | 16.18.00 |

დღგ-ს სარეგ. ნომერი

| | |
|---|---|
| თან | მმართველი თემი - დუშეთის მუნიციპალ |

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |

| | |
|---|---|
| 7 | დუშეთი სტალინის 58 |

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| | |
|---|---|
| 8 | ქ დუშეთი რუსთაველის 27 |

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართ

| | |
|---|---|
| 9 | ხელბარგი |

ტრანსპორტირების სახე

| | |
|---|---|
| 10 | X |

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |

| | |
|---|---|
| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი | საქონლის თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხელსაწმენდი პერლა | 1 | ცალი | 2.0000 | 2.2000 | 4.4000 |
| 2 | ჭიქა ქაღალდის | 2 | ცალი | 100.0000 | 0.0500 | 5.0000 |
| 3 | ერთჯ თეფში | 3 | ცალი | 100.0000 | 0.0400 | 4.0000 |

| | |
|---|---|
| 13 | 13.4 - ცამეტი ლარი და ორმოცი თეთრი |

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| | |
|---|---|
| 14 | |

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 15 | |

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 16 | |

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| 17 | |

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| | |
|---|---|
| 19 | ბანკი, საქართველოს ბანკი,ი/მ დავით ქისტაური ს/კ 16001033011 ანგ/# GE15BG0000000899072200 |

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 22/05/2017, 16:06:38

KA990135259868417

**714/01**

**17 / მაისი / 2017 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ვაჟა ჩოხელს

**მოხსენებითი ბარათი**

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 18 მაისს, პროექტის ოფიციალური პრეზენტაციის ღონისძიებისათვის "გახდი გადაწყვეტილების მიმღები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში", საჭიროა 120 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები, მოწვეული სტუმრებისათვის ალაფრუშეტის გასამართად.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს შემდგომი რეაგირება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
თანაშემწე

თინათინ ცოცხალაშვილი

# დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
# GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990166769817217

№ 1063/ს

19 / მაისი / 2017 წ.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### პ რ ო ე ქ ტ ი ს „გ ა ხ დ ი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ი ს მ ი მ ღ ე ბ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ებ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი“ პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ებ ი თ წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ხ ა რ ჯ ი ს გ ა წ ე ვ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე

პროექტის „გახდი გადაწყვეტილების მიმღები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში“ ფარგლებში 2017 წლის 18 მაისს, ქალაქ დუშეთში დაგეგმილია პროექტის პრეზენტაცია.

სტუმრების ორგანიზებულად მიღებისათვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან საჭიროა გაწეულ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯი 600 ლარის ოდენობით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. პროექტის „გახდი გადაწყვეტილების მიმღები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან გამოიყოს 600 ლარი;

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით თანხის გადარიცხვა;

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა ამ ბრძანების 2, 3 პუნქტებით განსაზღვრული სამსახურებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი 3. ვაჟა ჩოხელი